ჩემი საქართველო

№78, ნოემბერი, 2022

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწაფვიან!



უკრაინიდან ლოლვილები

„ლოლეანობა მშვიდობისათვის“

ორი დღე მიმდინარეობდა და ჩვეული პომპეზურობით ჩაიარა, რუსთავის აკადემიურ ქალაქში, ამერიკის წარმატებული პროექტს IRIS-ის ფარგლებში უკრაინელ ბავშვთა სოლიდარობის ღონისძიებამ, ოფიციალურ შეხვედრაზე აკადემიური ქალაქის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, სტუმრებს, ქ. რუსთავის მეთორმეტე საჯარო სკოლის უკრაინიდან საომარი მდგომარეობის გამო ჩამოსულ მოსწავლეებს და მასპინძლებს, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის სტუდენტებს მოკლედ გააცნო შეხვედრის პროგრამული ნაწილი, რომელიც უკრაინელ მოსწავლეებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა, სიტყვით გამომსვლელებმა: პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნათელა ნატროშვილმა, ქ. რუსთავის მეთორმეტე საჯარო სკოლის დირექტორმა მარინა ბულიამ, ქ. რუსთავის კერძო სკოლა “მზეკაბანის” დირექტორმა ბელა გოცირიძემ, (რომლის სკოლის მოსწავლე-მასწავლებლების მიერ შესრულებულმა მხატვრულმა ნომრებმა მოხიბლა დარბაზი) ქვემო ქართლის ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნარგიზა ტაბატაძემ, IRIS-ის პროექტის თანამონაწილემ ირინა სელეპანოვამ ვრცლად ისაუბრეს საქართველო უკრაინის ურთიერთობებზე, უკრაინელმა მოსწავლეებმა წაიკითხეს აკადემიური ქალაქის რექტორის, უკრაინის პატრიოტის საპატიო წოდებისა და ოქროს ვარსკვლავის ორდენის კავალერის, უკრაინის განათლებისა და მეცნიერების ფლაგმანის, აკადემიკოს, გარი ჩაფიძის უკრაინულ ენაზე დაწერილი ლექსები წიგნიდან “მხოლოდ შენ ერთს”... ასვე, საკუთარი ლექსი წაიკითხა უკრაინელმა მოსწავლემ ანჟელიკა პიშიკმა, არანაკლებ საინტერესო გამოდგა ღონისძიების მეორე დღე, სპორტული მარათონით მხიარული სტარტები, რომელიც უკრაინული გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

ღონისძიების დასასრულს IRIS-ის პროექტის ფარგლებში პროფესორმა ნათელა ნატროშვილმა და აკადემიური ქალაქის რექტორმა, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ სერთიფიკატები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს ღონისძიების ორგანიზატორებსა და მოსწავლეებს, ასევე გარი ჩაფიძემ თავისი შედგენილი ქართულ-უკრაინული ლექსიკონის სამტომეული და მისივე ავტორობით გამოცემული უკრაინული წიგნები უსახსოვრა ქ. რუსთავის მეთორმეტე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას

დასასრულს უკრაინელი მოსწავლეების საპატივცემულოდ გაიმართა სადღესასწაულო ბანკეტი

შეხვედრა შიდა ქართლის გუბერნატორთან

წინასწარ შედგენილი სამუშაო პროტოკოლის მიხედვით წარიმართა საქმიანი შეხვედრა შიდა ქართლის გუბერნატორ მიხეილ შაყულაშვილსა და საქართველო პოლონეთის საერთაშორისო ინსტიტუტის რექტორ, აკადემიკოს გარი ჩაფიძეს შორის, სადაც ძირითადი საკითხი შიდა ქართლის რეგიონში საქართველო პოლონეთის საერთაშორისო ინსტიტუტის ეგიდით, არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრების გახსნა გახლდათ. გუბერნატორმა მოიწონა იდეა აღნიშნული პროფესიული სწავლის ცენტრების შექმნის შესახებ და კომპეტენციის ფარგლებში დახმარება აღუთქვა ინსტიტუტის რექტორატს.

შეხვედრას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ საქართველო პოლონეთის საერთაშორისო ინსტიტუტის რეგიონებთან მუშაობის კონსულტანტი, ქვემო ქართლის გუბერნიის სამსახურის უფროსის მოადგილე სოსო პირველი და ინსტიტუტის ქალაქ მარნეულის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ქაფიანიძე.

შიდა ქართლის რეგიონში საქართველო პოლონეთის საერთაშორისო ინსტიტუტის ქალაქ ქარელის სასწავლო ცენტრს მზია დადვანი უხელმძღვანელებს.

„აკადემიური ქალაქი“ ტელეკომპანია „იმედის“ ობიექტივში

– იმდენი რამ მსმენია თქვენს შესახებ, თქვენი ორგანიზაციის შესახებ რომ... მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, ქალაქი-ქალაქში ეს რუსთავის აკადემიური ქალაქია... –ასეთი საინტერესო ინტერპრეტაციით დაიწყო ტელეკომპანია “იმედის” ეთერში გადაცემა “სხვა რაკურსი” აღნიშნული შოუს წამყვანმა გია ჯაჯანიძემ, რომელმაც აკადემიური ქალაქის დათვალიერების შემდეგ, ამ ქალაქის დამფუძნებელს, აკადემიკოს გარი ჩაფიძეს ხაზგასმით უთხრა, რომ თქვენ საოცარი ადამიანი ბრძანდებით და იდეები თუ შემომაკლდება პირდაპირ თქვენთან უნდა მოვიდეო... ნამდვილად, ასეა შვიდი წლის განმავლობაში აშენებული ჩვიდმეტი კორპუსი და საბავშვო ბაღიდან – დოქტურანტურამდე შექმნილი განათლების ყველა საფეხური ერთ სივრცეში. ეს აკადემიკოს გარი ჩაფიძის ხელწერაა... „სხვა რაკურსის” წამყვანმა მადლობა გადაუხადა დიდ ქველმოქმედს, სახელოვან მოქალაქესა და მეცენატს ბატონ თამაზ გველუკაშვილს, ორგანიზაცია „კეთილი ადამიანების“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს ბატონ ტარიელ მამარდაშვილს და შეხვედრის ინიციატორს, რუსთავის კოლორიტს, ქალბატონ მზია ანთიძეს, რომელიც ახალგაზრდების ინტერესთა დაცვის საერთაშორისო ასოციაციას ხელმძღვანელობს და მისი სტუდია “მომავალი ჩვენია”, სწორედ აკადემიურ ქალაქში დაიდებს ბინას, სადაც შემოქმედებითი გაერთიანებების თავკაცები ცნობილი ქართველი ხელოვანები არიან, – მოწვევა გია ჯაჯანიძემაც მიიღო და აღფრთოვანებით დაეთანხმა კიდეც...

რუსთავი განსაკუთრებული ქალაქია, კეთილი ადამიანების, სიკეთით სავსე ქალაქია და აქ, რუსთავში, კიედევ ერთი ქალაქის, აკადემიური ქალაქის არსებობა „სხვა რაკურსით“, დროსა და სივრცის ნაწილია!

პოლონური სასწავლო ცენტრი

„ვინ ირჩევს პროფესიას, ჩვენ თუ მშობლები?!“

ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა უნდა გადაწყვიტოს სად გააგრძელოს სწავლა, ან სად წავიდეს სამუშაოდ, ანუ პრაქტიკულად აირჩიოს პროფესია, საკუთარი ცხოვრების გზა. სწორედ ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა დისკუსია თემაზე:-“ვინ ირჩევს პროფესიას, ჩვენ თუ მშობლები?!” საქართველო - პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში.

ბავშვი, როგორც წესი, ოცნებობს მომავალში იყოს ექიმი, მასწავლებელი, პოლიციელი, ან თუნდაც მეხანძრე და მშვენიერია, როდესაც მისი ოცნება ახდება და ის რომელიმე კონკრეტული დარგში ხდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტი - .ყველა პროფესია ხომ ძალიან მნიშვნელოვანია!

მომავლის გეგმები ის პრობლემაა, რომელიც აწუხებს არა მხოლოდ მოზარდებს, არამედ მათ მშობლებსა და მასწავლებლებს. აი რას ამბობს ჩვენი სტუდენტი თინათინ ბიჭიკაშვილი: 17 – 18 წლის ასაკში გვიწევს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება – პროფესიის არჩევა. ერთის მხრივ, მე საკმაოდ ზრდასრული ვარ, რომ მქონდეს საკუთარი აზრი იმის შესახებ, თუ რა მაინტერესებს და რაში ვარ კარგი. მეორე მხრივ, ამ ასაკში ნაკლებად გვაქვს ცხოვრებისეული გამოცდილება, ჩვენი სურვილები ზოგჯერ აღემატება ჩვენს შესაძლებლობებს და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გვყავდეს ვინმე, ვინც რჩევას მოგვცემს... ასეთი ადამიანები არიან ჩვენი მშობლები, მასწავლებლები და მეგობრები.

„პროფესიის არჩევა ზოგისთვის მოწოდებაა, ზოგისთვის კი, უბრალოდ სამუშაო. საზოგადოებაში ადამიანს ხომ პირველ რიგში, მისი ადამიანური თვისებებით და პროფესიული საქმიანობით აფასებენ. ვფიქრობ, მშობლების კეთილი რჩევა ძალიან კარგია, მაგრამ მნიშვნელოვანია ჩვენი ინტერესი, სურვილი, ცნობისმოყვარეობა, ემოციები - გუსეინ აბასოვი, პირველი კურსის სტუდენტი.

„ხშირად პროფესიის არჩევა ინტუიციის დონეზე ხდება, განწყობის, ან ზედაპირული შთაბეჭდილებების, მშობლების ახირების გავლენის ქვეშ, ცდისა და შეცდომის გზით - ადამიანი მომავალში ვერ პოულობს თავის ადგილს ცხოვრებაში და უამრავი პრობლემას ექმნება. - ანარ ალიევი პირველი კურსის სტუდენტი.

მოზარდები ადვილად ექცევიან უფროსების გავლენის ქვეშ და ზოგჯერ პროფესიას საყვარელი პედაგოგის, ნათესავის ან მშობლის მიმბაძველობით ირჩევენ. ეს, როგორც წესი, მცდარი არჩევანია, რადგან არჩევანი კეთდება პიროვნების და არა პროფესიის მიმართ. ასეთ დროს მოზარდი საკუთარ სურვილებსა და მისწრაფებებს ივიწყებს, მომავალს სხვისი მიმბაძველობით იქმნის და არ აქცევს ყურადღებას, გააჩნია თუ არა ამ პროფესიის დასაუფლებლად აუცილებელი მონაცემები. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება მოზარდმა თვითონ მიიღოს.

პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას გავლენის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ფაქტორები : მშობლების გავლენა, მშობლების პროფესიის პირდაპირი მემკვიდრეობა, საოჯახო ტრადიციის თუ ბიზნესის გაგრძელება.მშობლები უქმნიან შესაბამის საოჯახო ატმოსფეროს, ზემოქმედებენ თავიანთი მაგალითით, გარკვეული მიმართულებით წარმართავენ ან ზღუდავენ ბავშვის ინტერესებს, ასევე შეიძლება აიძულონ სწავლა გარკვეული მიმართულებით რომელიმე სკოლაში ან სასწავლებელში, რაც განპირობებულია თავიანთი შინაგანი მოტივებით და საკუთარი განუხორციელებელი პროფესული სურვილებით.

არავინ არის დაცული პროფესიის შეცდომით არჩევისგან.

პროფესიის არჩევით ხდება ცხოვრების დაგეგმვა, ამიტომ, დაფიქრება გვმართებს. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ აბიტურიენტების უმრავლესობა პროფესიას გაუაზრებლად, ან ბანალური პრინციპით ირჩევს.

დიალოგი დიდხანს გაგრძელდა, დასასრულს სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქალბატონმა ეთერ ჭიპაშვილმა, შეაჯამა რა დისპუტის შედეგები, აღნიშნა, რომ:

მსოფლიოში უამრავი მშვენიერი პროფესიაა და ყველა პროფესიას აქვს დიდება და პატივი. ბედნიერია ის, ვინც აკეთებს იმას, რაც უყვარს, ვინც თავისთვის სწორი პროფესია აირჩია - ეს ხომ საარსებო საშუალებების შეძენის, ცხოვრების ხანგრძლივად და კომფორტულად უზრუნველყოფის შანსების საფუძველია...

აკადემიური ქალაქი კლასიკური გიტარის ფესტივალს უმასპინძლებს!

რუსთავის აკადემიური ქალაქი, როგორც კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულება, მოწინავეობას არავის უთმობს. სულ მალე, აქ, კლასიკური გიტარის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება, რომელიც ორ დღეს გასტანს, ღონისძიების ორგანიზატორი, ნიჭიერი ახალგაზრდების ინტერესთა დამცველი საერთაშორისო ასოციაციაა, მისი პრეზიდენტი ქალბატონი მზია ანთიძე, ძირძველი რუსთაველი გახლავთ. ამიტომაც უამრავი სიურპრიზით ანებივრებს რუსთავს, ამჯერად, მორიგ რაუნდად ტარიელ სუარის-ქართველი კლასიკური გიტარისტის, ფრანკფურტის მუსიკის აკადემიის დოცენტის, კლასიკური გიტარის კონგრესის აკადემიის ხელმძღვანელის სტუმრობა იქნება აკადემიურ ქალაქში, სადაც კლასიკური გიტარის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. ფესტივალი სემინარით დაიწყება, პირადად ტარიელ სუარის ჩართულობით, რომელსაც გიორგი ლუთერ ფხალაძის მასტერკლასი მოჰყვება და პირველი დღე კლასიკური გიტარის ვირტუოზების გალა კონცერტით დასრულდება, მეორე დღე კი კლასიკური გიტარის სოლისტთა და ანსამბლთა კონკურსით და ტარიელ სუარის გეშპრეხსკონცერტით გაგრძელდება... და ბოლოს, კლასიკური გიტარის ფესტივალის საზეიმო დახურვაზე, სოლისტთა და ანსამბლთა დაჯილდოება წარიმართება... ეს დღეები რუსთაველთა კეთილ მოგონებებში, წლობით გაგრძელდება...

– რატომ მარტო რუსთაველთა, მე კლასიკური გიტარის დღეები ქუთაისში, თელავში, წალენჯიხაში, გურჯაანში, თეთრიწყაროში, საგარეჯოში, ბოლნისში და საქართველოს თორმეტ რეგიონში გავმართე – გვესაუბრება ბატონი ტარიელ სუარი, რომელიც გიტარისტობის პარალელურად უდიდეს პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას ეწევა, იგი "ვიზუალიზირებული მუსიკა ყრუათვის" სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, უსინათლო ბავშვთა ფონდის პრეზიდენტი, მანვე დააფუძნა ყრუთა მუსიკის შესწავლისა და სინესთეზიის განვითარების ცენტრი, ტარიელ სუარმა კლასიკური გიტარის კომპოზიტორებისათვის შოპენის, შუმანის, შუბერტის და სხვათა 300-ზე მეტი ნაწარმოები გადაიტანა, უამრავი ჯილდოსა და რეგალიის ადრესატის გვერდით, კლასიკური გიტარის კონგრესის ფიზიოლოგი ემზარ ჭრიკაშვილი ადმინისტრაციულ-შემოქმედებით სიმაღლეზეა და ბოლოს, ბატონი ტარიელის ცხოვრებისეული მიმართულება ნიშანსვეტია ქართული გენის უკვდავებისა...

ქუთაისი

დღევანდელობა – მომავლის ხედვით!

უკვე მესამე წელია, რაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.ქუთაისის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში დაინერგა და დამკვიდრდა თავისუფალი ლექციები მრავალფეროვანი თემატიკით...

ამ წლების განმავლობაში მრავალი საინტერესო და რაც ყველაზე მთავარია, სტუდენტ ახალგაზრდობაზე ორიენტირებული სალექციო კურსი წაკითხულა ამ სასწავლო აუდიტორიაში, ქუთაისელი თუ მოწვეული ლექტორებისაგან. 24 ოქტომბრის ორშაბათის დადგომას განსაკუთრებული რუდუნებით ელოდნენ არამარტო სტუდენტები, არამედ პედაგოგიური სპექტრიც, ლექცია დღევანდელობაზე, მომავლის ხედვით, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს, სამედიცინო კლინიკის დირექტორს ბატონ მერაბ კვიცარიძეს უნდა წაეკითხა, მას უამრავი ლეგალიები და ქუთათურთა უძლიერესი სიყვარული გააჩნია...

როგორც მოსალოდნელი იყო ლექციამ ინტერაქტიულ, თბილ და საინტერესო გარემოში ჩაიარა.

მაყვალა ქოგულაძე.
ქ. ქუთაისის სასწავლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის
სამსახურის უფროსი

შეხვედრა, ჩაი და დიალოგი...

უჩვეულო ვნებათაღელვა გამოიწვია რუსთავის აკადემიურ ქალაქში "ჩაის სახლის" გახსნამ, პირველსავე შეხვედრაზე რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ ვრცლად ისაუბრა ახალი სივრცის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც დისპუტების, დიალოგებისა და პროფესიული საუბრების, ხელოვნებასთან, მეცნიერებასთან, ლექსთან შეხვედრის ადგილად იქცევა... სიტყვით გამოსულებმა: საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემიური ქალაქის სასწავლო კორპუსის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა გენრიეტა აბესაძემ, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქეთევან ცისკარაშვილმა, ქ. რუსთავის მეთორმეტე საჯარო სკოლის დირექტორმა მარინა ბულიამ, ქვემო ქართლის რეგიონის გუბერნიის თანამშრომელმა სოსო პირველმა, ქ. რუსთავის კერძო სკოლა "მზეკაბანის" დირექტორმა ბელა გოცირიძემ, რუსთავის აკადემიური ქალაქის "საბავშვო ბაღი თვითმფრინავში" განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა მაკა სამხარაძემ, მეცენატმა თამაზ გველუკაშვილმა, ქ. რუსთავის ოცდამესამე საჯარო სკოლის დირექტორმა მზია კიწმარიშვილმა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ ლეილა გეგეშიძემ, ქ. რუსთავის მეთოთხმეტე საჯარო სკოლის დირექტორმა ნონა ლორიამ, საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ეთერ ჭიპაშვილმა, ჟურნალისტმა ლია მარტაშვილმა, საერთაშორისო ორგანიზაცია "ჩვენი თაობა 60+"-ის ხელმძღვანელმა თემურ ლომსაძემ და სხვებმა ისაუბრეს აღნიშნული წამოწყების სასიკეთო სიახლეებზე და აღნიშნეს ის გარემოება, რომ ეს სივრცე რუსთავის ელიტარული საზოგადოებისათვის უდიდესი შენაძენია.

პრიორიტეტი: სტუდენტთა დასაქმება!

შეხვედრა-დიალოგი ლიბერთი ბანკის წარმომადგენლებთან.

არაფორმალურ გარემოში, მაგრამ ეტიკეტის სრული დაცვით, წარიმართა მაღალი რანგის შეხვედრა-დიალოგი „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელობასა და საქართველოში არსებულ განათლების სამინისტროს მიერ ავტორიზებული „საფინასნო სერვისების” სპეციალობის პროგრამის განმახორციელებელი კოლეჯების წარმომადგენლებთან.

„ლიბერთი ბანკის” ადამიანური რესურსების მართვისა და ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსმა ნინო ჩიხლაძემ ვრცლად ისაუბრა ბანკისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთანამშრომლობის აუცილებლობაზე და დასძინა, რომ არამარტო უმაღლესი სასწავლებლების, არამედ კოლეჯების კურსდამთავრებულ, არჩეული პროფესიის სიზუსტეში დარწმუნებულ, მოტივირებულ სტუდენტთათვის ყოველთვის შესაძლებელი იქნება, „ლიბერთი ბანკში“ დასაქმება, კოლეჯების წარმომადგენელთა შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს საცალო საბანკო მიმართულების დირექტორმა თორნიკე კორძაიამ, ფილიალების ქსელში საცალო გაყიდვების დეპარტამენტის უფროსმა ლერი თორიამ, თანამშრომელმა ნათია გეწაძემ და სხვებმა.

– „მადლობა გვერდში დგომისათვის!“ -ეს სიტყვები, რომლის ადრესატიც ბანკის ხელმძღვანელობა გახლდათ, ლაიტმოტივად გასდევ- და კოლეჯის წარმომადგენელთა გამოსვლებს, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის დირექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო ჩვენი ახალგახსნილი კოლეჯის საგანმანათლებლო მიმართულებების ძირითად საკითხზე.

შეხვედრამ მეგობრულ, კოლეგალურ გარემოში ჩაიარა და გამოითქვა სურვილი ასეთი შეხვედრების გასაგრძელებლად.

საქართველოს პედაგოგთა კავშირში

„იაკობობა მაღალ დონეზე აღინიშნა“

რუსთავის აკადემიურ ქალაქში, 27-ოქტომბერს, განსაკუთრებული ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა, აქ, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობამ, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლის და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების 182-ე წელი აღნიშნა.

-ეს დღე, ქართული პედაგოგიკის დაბადების ტოლფასია, ყველასათვის ხელიხელ საგოგმანებელი “დედაენის” შემდგენელის დაბადების დღე! იაკობისათვის მთავარი პედაგოგიკის პრინციპები იყო, ხალხურობის პრინციპი, რომელიც ერის ინტერესების შესაბამის სახალხო განათლებას, ეროვნული კულტურის აღორძინებასა და მშობლიურ ენაზე სწავლებას გულისხმობდა, მან პირველმა წამოაყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, სისტემურობა და თანმიმდევრობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება,... მისმა შემოქმედებამ უდიდესი როლი ითამაშა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. – აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ.

იაკობ გოგებაშვილის ბიუსტთან, რომელიც აკადემიური კალაქს ამშვენებს, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, პროფესორმა ლეილა გეგეშიძემ, დამსახურებულმა პედაგოგებმა: გენრიეტა აბესაძემ, ეთერი ჭიპაშვილმა, როზა გულისაბედაშვილმა, ნინო კაკიაშვილმა, ქეთევან ცისკარაშვილმა, ზურაბ ქსოვრელმა და სტუდენტმა ახალგაზრდობამ; “იაკობობა” აკადემიურ ქალაქში დიდხანს გაგრძელდა და მაღალ დონეზე აღინიშნა!

თელავი

ჩვენს სიტყვას ვიტყვით

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრებს შორის, ქალაქ თელავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი, ის სასწავლებელია, რომელიც საკმაოდ დიდი ხნიდან ფუნქციონირებს, მას თავისი ლამაზი ისტორია აქვს, სასწავლო ცენტრმა ასობით კურსდამთავრებულს მიცა ცხოვრების საგზური, რომელთაც საკუთარი ადგილი დაიმკვიდრეს დღევანდელ რთულ პერიოდში... თელაველები ტოლს არავის ვუდებთ, ჩვენ, ჩვენი სასწავლო ცენტრის საკუთარი შენიბა გვაქვს, რომელიც სპეციალურად, ჩვენზე მორგებული პროექტით აშენდა ქალასქის ცენტრში... ამ მხრივაც გვიხარია და გვეამაყება სასწავლო ცენტრში მისვლა, აქ მეგობრები და ლექტორ-მასწავლებლები სიყვარულით გველოდებიან, სასწავლებელში თბილი გარემო და მყუდროება სუფევს, მეამაყება, რომ ამ სასწავლებლის სტუდენტი ვარ! ყოველდღიური სამეცნიერო- შემოქმედებითი სტუდენტური ცხოვრებით ვცხოვრობთ, იმედით შევყურებთ მომავალს და ჩვენი სამშობლოს გაძლიერების საქმეში ჩვენც, ჩვენს სიტყვას ვიტყვით!

ნინი თოდაშვილი,
ქ. თელავის სასწავლო ცენტრის
მესამე კურსის სტუდენტი

ტყიბული

ფიქრები უკრაინაზე...

...სიჩუმე ჩამოვარდა, სიჩუმე ბევრის მომასწავებელია, ხმაურზე ბევრის მთქმელია სიჩუმე... რაღაც იწვოდა და მუქი წითელი ფერით იღებებოდა ირგვლივ ყველაფერი, სტკიოდათ და მოდიოდათ ცრემლები, განგაშის ხმა ისმოდა წყვეტილად, ცვიოდა და იფერფლებოდა სიცოცხლე... ინგრეოდა მათი ხელებით ნაშენები სამყოფელი, არ უდოდათ ეს, არ უნდოდათ, მაგრამ ვინ იყო შემჩერებელი?! შავი კვამლი თანდათან ითრევდა და შთანთქავდა არემარეს, რომელშიც გახვეული იყო სიცოცხლე თუ სიკვდილი, ბევრი თუ ცოტა, ქალი თუ კაცი, ბავშვები... ბავშვები... ბავშვები... მინდა, რომ ყველგან მშვიდობა იყოს... ყველგან გაზაფხული, სიცოცხლე და სიხალისე სუფევდეს! ეს ჩემი პატარა ნაკალმევი, მსურს გვერდში დგომა იყოს უკრაინელი ხალხისადმი...

ნინო აბულაძე,
ქ. ტყიბულის სასწავლო ცენტრის
მესამე კურსის სტუდენტი

დმანისი

ჩვენი სიამაყე

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრები, უკვე წლებია წარმატებით მიიწევს წინ და საკუთარი ხელწერაც აქვს, ჩვენი, დმანისის სასწავლო ცენტრი კი ახალბედაა, ის არსებობის მხოლოდ სამ ერთეულ წელს ითვლის, დიახ, წელს პირველად გაიცა დიპლომები... თავიდან კი, თავიდან დავიწყეთ სრულიად უხმაუროდ, დღეს კი ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ გავიზარდეთ!

გვიხარია ახალი სასწავლო წლის დაწყება, შეხვედრები რექტორატთან, პედაგოგებთან, თანაკურსელებთან... ჩვენთან მუდამ თბილი გარემო სუფევს, ვიგებთ უამრავ სიახლეს, მივიწევთ წინ, ცოდნის მწვერვალებისაკენ... ამიტომაც გვაქვს სურვილი ღირსეულად ვატაროთ სტუდენტის საპატიო სახელი

ლამზირა კარალოვა,
ქ. დმანისის სასწავლო ცენტრის
მესამე კურსის სტუდენტი

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369